30/05/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა ქ-ნ ლამარა ჭელიძე-ყურაშვილს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა აფხაზეთის ომის დროს მოწამეობრივად აღსრულებულ მღვდელმონოზონ ანდრიას (ყურაშვილი) დედას.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე მეორის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378, 2989540; Fax:2987114

ქალბატონ ლამარა ჭელიძე-ყურაშვილს

მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით

თქვენ ბრძანდებით ჭეშმარიტად ბედნიერი დედა იმიტომ, რომ რვა შვილის აღმზრდელი ხართ. თქვენ ბრძანდებით ბედნიერი დედა, იმიტომ, რომ გყავთ ქვეყნისთვის თავგანწირული შვილი, - მღვდელმონაზონი ანდრია. თქვენ ბედნიერი დედა ხართ იმიტომ, რომ სხვა ოთხი შვილი ღვთისმსახურია და სამიც საერო, მაგრამ ღვთისსათნო ცხოვრებით ცხოვრობს.

ღმერთმა დალოცა თქვენი და ბატონ ელგუჯას ქორწინება. ასეთი ოჯახები დღეს ბევრი არ არის.

გისურვებთ ხანგრძივ და კვლავაც ნაყოფიერ ცხოვრებას, სხვათა მაგალითად და მრავალთა მოსაქცევად. უფალი იყოს თქვენი შემწე. უფალი ფარავდეს თქვენ შთამომავლობას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მღვდელმონაზონ ანდრიას და ბატონ ელგუჯას უკვდავი სული.

† ილია E

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

27.05.2019



— patriarchate.ge